ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 168 (13860)

ხუთშაბათი, 20 ივლისი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავის მწვერვალიდან პარტია, საბჭოთა ხალხი თვალს აგლებენ განვლილ გზას, რათა კიდევ უფრო კარგად გადაწყვიტონ ახალი ამოცანები. ფართოვდება, მტკიცდება და იმარჯვებს რევოლუციური საქმე, რომელიც დაიწყო დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. სოციალიზმი ასეულ მილიონობით ადამიანთა დღევანდელი დღე და მთელი კაცობრიობის ხვალინდელი დღეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

საიუბილეო წლიურ ბარაქა-ლოტოს



პრის წლიური გეგმა

ფოთლის კრეფის სეზონის დაწყების დროს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი უ. კუჩუბერია) წევრებმა იკისრეს 10 აგვისტოსათვის მოკრიფონ 480 ტონა ჩაის ფოთოლი და ამით წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულონ. პლანტაციის კარგი მოვლის შედეგად ბესლახუბელმა კოლმეურნეებმა პირობა უყვე გაანაღდეს. 17 ივლისისათვის მოიკრიფა და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩაბარდა 482,5 ტონა ჩაის ნედლეული. ახლა ყოველდღე წლიური გეგმის ზეგით იკრიფება ასეულ კილოგრამობით „მწვანე ოქრო“.

210.000 ტონა

„მწვანე ოქროს“ ლორთქო დუყები ახალი შრომითი მიღწევებისაკენ უხმობენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მოქკის საბჭოთა მეურნეობის მუშებს. ისინიც ფოთლის კრეფას როდი აყოვნებენ. წვიმაში თუ ქარში მუდამ პლანტაციებში არიან და ახავებენ ჩაის ნედლეულს.

საიუბილეო წელს მეურნეობაში ფოთლის კრეფის საქმეში კარგად იყენებენ საკრეფ მანქანას „საქართველოს“. პლანტაციებში ყოველდღე 10 მანქანა მუშაობს და თვით ეული 1.000-1.500 კილოგრამ ფოთოლს იღებს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არავის უთმობს მექანიზატორი ო. ბეჭანიშვილი. მისი პირობა იყო 25 ივლისამდე მანქანით აიღო 15 ტონა ჩაის ნედლეული. ეს პირობა ჯერ კიდევ 5 ივლისისათვის გაანაღდა. მისი გადაწყვეტილებაა სეზონში ერთი მანქანით აიღოს 30 ტონა ფოთოლი.

სურათზე: (მარჯვნივ) მექანიზატორი ო. ბეჭანიშვილი და ინჟინერ-მექანიზატორი თ. კაჭაკაშვილი მეურნეობის პლანტაციაში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

იუბილეს შესახვედრად

თვითეული შრომითი კოლექტივი ისწრაფვის ყოველი დონე იხმაროს, რათა ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს, გაახაროს სამშობლო ახალი საწარმოო მიღწევებით.

ჩვენი ხალხის დიდი პატრიოტული გრძნობები გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებმა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“. თეზისებში დიდი სიღრმით გაშუქებულია იმ ისტორიულ წარმატებათა სიდიადე, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ქალაქისა და სოფლის მშრომელები, რომლებიც ამყოფენ სოციალისტური წყობილების მონაპოვრებით, კიდევ უფრო ენერგიულად იბრძვიან სოციალიზმის ვალდებულებათა შესრულებისათვის. ამას დამაჯერებლად მოწმობს ხუთწლედის მეორე წლის პირველი ნახევრის შედეგები.

პარტიულ ორგანიზაციებს ახლა თავიანთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიაჩნიათ კიდევ უფრო ფართოდ, უფრო ნაყოფიერად აწარმოონ მზადება საიუბილეო ნახევრისათვის, ყოველნაირად განავითარონ მასების შემოქმედებითი ინიციატივა, წარმატებით განახორციელონ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი. პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის კონკრეტული ამოცანები განსაზღვრეს პარტიული კომიტეტების პლენუმებმა და პარტიული აქტივის კრებებმა, რომლებმაც განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები. პლენუმებისა და პარტიული აქტივის კრებების მონაწილეებმა ერთსულოვნად, მთლიანად და სავსებით მოიწონეს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. პარტიულმა კომიტეტებმა მთელ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობას საფუძვლად დაუდეს ცენტრალური კომიტეტის თეზისები.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში ახლა ცენტრალური ადგილი უჭირავს იმას, რომ მშრომელებს განუმარტონ შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი. თეზისების პროპაგანდაში უველაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა, ყველა კომუნისტმა. მათი ამოცანაა დაეხმარონ თვითეულ საბჭოთა ადამიანს ღრმად გაიაზროს პარტიის მიერ განზოგადებული 50 წლის გამოცდილება სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობისა, დიდი სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნებისა ჩვენს ქვეყანაში, თეორიული დებულებანი მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის როლის შესახებ. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ღრმად განუმარტონ მშრომელებს პარტიისა და მთავრობის ლენინური საგარეოპოლიტიკური კურსი, რომლის მიზანია სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცება, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერა, ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის განვითარება, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების თანმიმდევრულად განხორციელება, მსოფლიო თერმოატომური ომის თავიდან აცილება.

დიდი გაქანებითა და მიზანდასახულობით ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალების პროპაგანდასა და ოქტომბრის იუბილესათვის მთელ მზადებას მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მოკავშირე რესპუბლიკების მთელი რიგი სხვა დედაქალაქების, ოლქებისა და რაიონების პარტიული ორგანიზაციები. ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდის საქმეში აქ ჩაბმული არიან პარტიული აქტივი, თვალსაჩინო მეცნიერები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, კულტურის მუშაკები, ძველი ბოლშევიკები. პროპაგანდისტები, პოლიტინფორმატორები, ყველა კომუნისტი.

PRAVDA
19 ივლისის მოწინავე

ზრუნავენ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე თავიანთი ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური საქმიანობის დონეს. ამასთანავე ახლა სულ უფრო იზრდება კომუნისტის პირადი მაგალითის მნიშვნელობა, მისი როლი და პასუხისმგებლობა წარმოებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბოლშევიკური სიტყვით, თავიანთი საქმით, სანიმუშო შრომით, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობით მიუძღვიან პარტიის წევრები ყველა მშრომელთ.

პარტიულ ორგანიზაციებს იუბილესათვის მზადების კონკრეტული გეგმები აქვთ. შეჯიბრებისა და საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ორგანიზაციასთან ერთად ამ გეგმებით დასახულია მრავალი საქმე, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობასთან, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობასთან. ეს ღონისძიებათა განხორციელებას უნდა მივაპაროთ საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების აქტივის განსაკუთრებული ყურადღება.

ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იუბილემდე დარჩენილ თვეებში. უწინარეს ყოვლისა კომუნისტებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ თვითეულ კოლექტივში შეიქმნას ისეთი ვითარება, რომელიც დაეხმარება ყველა მშრომელთ ღირსეულად შეასრულონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა, ბეჯითი შრომით განამტკიცონ ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება.

ახლა პარტიული ორგანიზაციების, თვითეული კომუნისტის მთავარი ამოცანაა ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალებით უზრუნველყონ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრა.

ირანის პრემიერ-მინისტრი მოსკოვში

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 19 ივლისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ირანის პრემიერ-მინისტრი ამირ აბას ჰოვეიდა.

ვნუკოვოს აეროდრომზე ირანის მთავრობის მეთაურს შეხვდნენ ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ი. ვ. ანდროპოვი და სხვები.

19 ივლისს ირანის პრემიერ-მინისტრ ამირ აბას ჰოვეიდა კრემლში ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

ა. ნ. კოსიგინსა და ამირ აბას ჰოვეიდას შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ირანს ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს და აზრი გაუზიარეს ერთმანეთს ზოგიერთ ურთიერთ საინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე.

(საქდესი).

მეცხოველეთა საკავშირო თათბირი

ხარკოვი, 18 ივლისი. წვნიანი საკვების დამზადების გაუმჯობესებისა და შენახვის საკითხებს მიეძღვნა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც დღეს გაიხსნა უკრაინის ტყე-ეტპესა და პოლესიეს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საცდელ მეურნეობა „უკრაინკაში“. (საქდესი).

მეგობრობის დღე

მოსკოვი, 18 ივლისი. (საქდესი). დღეს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს მოსკოვისა და ვარშავის მეგობრობის დღე. ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიმართა ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილი საღამო.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში ედმუნდ პშჩულკოვსკის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ვარშავის კომიტეტის დელეგაციას პოლონეთის ტაერთიანებული მუშათა პარტიის ვარშავის კომიტეტის პირველი მდივნის სტანისლავ კოჩელეკის მეთაურობით, როცა პრეზიდიუმში შემოვიდნენ. პოლონელ მეგობრებთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. სპირიდონოვი და სხვები.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ს. შენგელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. აქვსენტი სამსონის-ძე შენგელია დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1967 წლის 19 ივლისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ს. ჩამბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. იური სამსონის-ძე ჩამბა დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1967 წლის 19 ივლისი.

ზუგდიდელ, მახარაძელ და გალელ მეაბრეშუმეთა წარმატება

ზუგდიდელმა მშრომელებმა, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქცია საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კვარაცხელიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ანთიამ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. გაბელიამ, — სიტყვა საქმედ აქციეს. 18 ივლისისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 288,4 ტონა აბრეშუმის პარკი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 288 ტონისა.

სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი რუხის კოლმეურნეობა „საქართველო“ და სხულუხის სახელობის კოლმეურნეობამ, ჩხორის, კორცხელის, ჭიხაშკარისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, ანაკლიის საბჭოთა მეურნეობამ.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ალ. თოიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. გომბრონაძემ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება ვადაზე ადრე გადაკარნეთ გაანაღდეს. 18 ივლისისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 256 ტონა მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 254 ტონისა.

„მწვანე ოქროს“ ლორთქო დუყები ახალი შრომითი მიღწევებისაკენ უხმობენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მოქკის საბჭოთა მეურნეობის მუშებს. ისინიც ფოთლის კრეფას როდი აყოვნებენ. წვიმაში თუ ქარში მუდამ პლანტაციებში არიან და ახავებენ ჩაის ნედლეულს.

საიუბილეო წელს მეურნეობაში ფოთლის კრეფის საქმეში კარგად იყენებენ საკრეფ მანქანას „საქართველოს“. პლანტაციებში ყოველდღე 10 მანქანა მუშაობს და თვით ეული 1.000-1.500 კილოგრამ ფოთოლს იღებს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არავის უთმობს მექანიზატორი ო. ბეჭანიშვილი. მისი პირობა იყო 25 ივლისამდე მანქანით აიღო 15 ტონა ჩაის ნედლეული. ეს პირობა ჯერ კიდევ 5 ივლისისათვის გაანაღდა. მისი გადაწყვეტილებაა სეზონში ერთი მანქანით აიღოს 30 ტონა ფოთოლი.

სურათზე: (მარჯვნივ) მექანიზატორი ო. ბეჭანიშვილი და ინჟინერ-მექანიზატორი თ. კაჭაკაშვილი მეურნეობის პლანტაციაში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

„ბაღანა ოქროს“ ლორთქო დუყები ახალი შრომითი მიღწევებისაკენ უხმობენ ასს რესპუბლიკის მოქკის საბჭოთა მეურნეობის მუშებს. ისინიც ფოთლის კრეფას როდი აყოვნებენ. წვიმაში თუ ქარში მუდამ პლანტაციებში არიან და ახავებენ ჩაის ნედლეულს.

საიუბილეო წელს მეურნეობაში ფოთლის კრეფის საქმეში კარგად იყენებენ საკრეფ მანქანას „საქართველოს“. პლანტაციებში ყოველდღე 10 მანქანა მუშაობს და თვით ეული 1.000-1.500 კილოგრამ ფოთოლს იღებს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არავის უთმობს მექანიზატორი ო. ბეჭანიშვილი. მისი პირობა იყო 25 ივლისამდე მანქანით აიღო 15 ტონა ჩაის ნედლეული. ეს პირობა ჯერ კიდევ 5 ივლისისათვის გაანაღდა. მისი გადაწყვეტილებაა სეზონში ერთი მანქანით აიღოს 30 ტონა ფოთოლი.

სურათზე: (მარჯვნივ) მექანიზატორი ო. ბეჭანიშვილი და ინჟინერ-მექანიზატორი თ. კაჭაკაშვილი მეურნეობის პლანტაციაში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ჩვენს ღიად ეკონომიკაში

წინსვლის ციფრები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების 1967 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს მშრომელებმა, გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ხელისუფლების მომავალი ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად, განვლილ ნახევარ წელიწადში შემდგომი წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებაში.

I.

მრეწველობა

სამრეწველო წარმოების ნახევარი წლის გეგმა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 105 პროცენტით შესრულდა. 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 8 პროცენტით გაიზარდა.

პროდუქციის წარმოების წლის პირველი ნახევრის გეგმა ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოებმა შეასრულეს 104 პროცენტით, აფხაზეთის ასსრ სამრეწველო საწარმოებმა — 108 პროცენტით, აჭარის ასსრ სამრეწველო საწარმოებმა — 103 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამრეწველო საწარმოებმა — 115 პროცენტით.

რესპუბლიკის მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქციამ წინა წელთან შედარებით შეადგინა:

	1967 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით
შავი მეტალურგია	110
სათბობის მრეწველობა	94
ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება	99,5
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	104
ქიმიური მრეწველობა	128
საშენ მასალათა მრეწველობა	115
ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობა	106
მსუბუქი მრეწველობა	117
აქედან საფეიქრო	117
კვების მრეწველობა	102
აქედან:	
ხორცის	140
ერბო-კარაქის, ყველისა და რძის სხვა პროდუქტების წარმოება	110
ღვინის	108
ჩაის	87
თამბაქოს	74
საკონსერვო	83

რესპუბლიკის ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოების პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	ნახევარი წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1967 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით
ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო	96	99,8
საქართველოს ქვანახშირის კომბინატი	99,1	87
ქიმიური მრეწველობის სამმართველო	102	128
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	104	107
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	99,4	105
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	103	117
კვების მრეწველობის სამინისტრო	106	98
„საქმთავარკოსტრეგიონალტანი“	123	92
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	127	129
სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	113	113
მშენებლობის სამინისტრო	95	108
სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	103	133
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო	93	110
რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	107	113
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	120	140
პუერპროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველო	112	115
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	107	110
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	104	103

წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის დაგეგმისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილია ასზე მეტი საწარმო.

ახალ პირობებში მომუშავე საწარმოებმა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 105 პროცენტით შეასრულეს. 1966 წლის ნახევართან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა ამ საწარმოებში გაიზარდა 8 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 10 პროცენტით.

საერთო საკავშირო სამინისტროებისა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა შეასრულეს თუჯის სხმულის კოოპერირებული მიწოდების ნახევარი წლის გეგმა და ამავე დროს ვერ შეასრულეს ფოლადისა და ფერადი სხმულის, ნაჭედის, ტვიფრების, პლასტმასის ნაწარმისა და უმნიშვნელოვანესი კვანძების და დეტალების მიწოდების გეგმა. ფოლადის სხმულის მიწოდების ვალდებულებანი ვერ შეასრულეს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ, ქუთაისის ელექტრომექანიკურმა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებმა. ფერადი სხმულის გეგმა ვერ შეასრულეს თბილისის ქარხნებმა „მიკროძრავამ“ და „ელექტროძრავამ“, ტვიფრებისა — ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, პლასტმასის ნაწარმისა — თბილისის პლასტმასის ქარხანამ, კვანძების და დეტალებისა — თბილისის ხელსაწყოების ქარხანამ.

ძირითად სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წარმოებულია 1967 წლის პირველ ნახევარში	1967 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით
მარგანეცის მადანი — ათასი ტონა	1.207	93
თუჯი — ათასი ტონა	404	97
ფოლადი — ათასი ტონა	726	103
ნაგლინი — ათასი ტონა	591	112
ფოლადის მილები — ათასი ტონა	212	104
კოქსი სულ — ათასი ტონა	323	96
ქვანახშირი — ათასი ტონა	1.155	89
ელექტროენერგია — მილიონი კილოვატსაათი	3.212	104
მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულები) — ათასი ტონა	262	117
სამაგისტრალო ელმავალი — ცალი	86	93
სატვირთო ავტომობილი — ცალი	4.120	73
ლითონსაჭრელი ჩარხი — ცალი	2.020	101
სასოფლო-სამეურნეო მანქანები (გარდა სათადარიგო ნაწილებისა) — ათასი მანეთისა	1.547	113

(დასასრული მე-2 გვერდზე).







სწორედ რევოლუციურმა პროლეტარიატმა, 1917 წლის ივლისის გამოცდილების შემდეგ, დამოუკიდებლად უნდა აიღოს თავის ხელში სახელმწიფო ძალაუფლება—უამისოდ რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია.

ვ. ი. ლენინი.

ოქტომბრის პრელუდია

სამი რევოლუციის ქალაქის ათეულ ათასობით მცხოვრებმა 17 ივლისს პატივი სცა იმათ, ვინც 50 წლის წინათ კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის პირველი მსხვერპლი გახდა.

მემორიალი „ივლისის დახვრეტა“ დაიწყო საღამოს, როცა ათასობით ლენინგრადელი შეიკრიბა რევოლუციის ისტორიასთან დაკავშირებულ წმიდა ადგილებში. ნარვის კართან და მარსის მოედანზე, ყოფილ ქშესინსკაიას სახალლესთან და კრონშტადტის ღუზის მოედანზე, ისაკის ტაძართან და მოსკოვის კართან გაისმოდა ლენინური რევოლუციური გვარდიის ვეტერანთა, 1917 წლის ივლისის მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა და სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ახალგაზრდა მემკვიდრეთა მგზნებარე სიტყვები.

მუშების, ჯარისკაცებისა და მატროსების მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტა პეტროგრადში შემობრუნების პუნქტი გახდა რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა მიტინგების მონაწილეთა გამოსვლებს. ბურუჟუაზის დამქაშთა სასხლეტთან დანაშაულმა, რომელმაც ასობით ადამიანი იმსხვერპლა, ცხადყო, რომ კონტრრევოლუციის ძალები შეტევაზე გადავიდნენ. ბოლშევიკების პარტიამ დაიწყო მასების მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის.

მიტინგები დამთავრდა, და აი თხუთმეტი ათასამდე ლენინგრადელი იმეორებს 1917 წლის მშვიდობიანი დემონსტრაციის ისტორიულ მარშრუტს. ისინი კოლონებად მოდიან მუშათა ყოფილი გარეუბნებიდან ქალაქის ცენტრისაკენ. ვიბორგის მხარის მანიფესტანტებს ხელში უჭირავთ პლაკატები და ტრანსპარანტები, რომლებზეც რევოლუციამდელი ორთოგრაფიით წარწერილია ლოზუნგები: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“, „ძირს კაპიტალისტი მინისტრებს!“, „პური, ზავი, თავისუფლება!“, „ძირს ომს!“. სწორედ ეს მოთხოვნები წაუყენა 1917 წლის ივლისში დროებითს მთავრობას ვიბორგის მხარემ, რომელიც პირველი აღდგა კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის წინააღმდეგ.

დღევანდელი დემონსტრაციის ბევრ მონაწილეს მკერდს უმშვენებს წითელი მიხაკები, უფროს თაობათა რევოლუციური ტრადიციების ერთგულების სიმბოლო. ყოფილ ქშესინსკაიას სასახლესთან, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ რსდმპ(ბ) ცენტრალური და პეტროგრადის კომიტეტები იყო, პარტიის წევრი 1914 წლიდან კ. გ. არშავსკი, და ყოფილი ბოლტიელი მატროსი ა. თ. მალოლეტკო, ავრეთვე ვიბორგის მხარის წარმომადგენელი კარლ მარქსის სახელობის ქარხნის მომლშშველი ნ. თ. პროკოფიევი და ბევრი სხვა.

აქ, ისტორიულ სმოლნთან, ლენინგრადელები აცსადგენენ, რომ საბჭოთა ადამიანებს მუდამ ეხსოვნათ, თუ რა მსხვერპლის ფასად მოიპოვეს თავისუფლება და დემოკრატია სამახსოვრო 1917 წელს.

ბ. გრიუზენკო,
ვ. პეტრუნია,

ლენინგრადი, ივლისი.

* * *

სურსთზე: ივლისის დემონსტრაციის დახვრეტა პეტროგრადში.



საოქტომგრო კითხვა

19 ივლისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სააქტო დარბაზში გაიმართა მორიგი მოხსენება საოქტომბრო კითხვის ციკლიდან, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო აქტივისა და თბილისის გარნიზონის მეომრების წარმომადგენელთა წინაშე მოხსენება „ვ. ი. ლენინი სახალხო კონტროლის შესახებ“ წაიკითხა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **მ. ი. კუჭავამ.** (საქდესი).

წინსვლის ციფრები

(დასასრული)

ცემენტი — ათასი ტონა	727	99,3
მიფერი — მილიონი პირობითი ფილა	32	111
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა	397	106
ქაღალდი — ათასი ტონა	16	98
ავეჯი — მილიონი მანეთისა	14	114
სარეცხი მანქანა — ათასი ცალი	59	117
ბამბის ქსოვილი — მილიონი კვადრატული მეტრი	28	111
მალის ქსოვილი — მილიონი კვადრატული მეტრი	3	120
აბრეშუმის ქსოვილი — მილიონი კვადრატული მეტრი	11	109
წინდა — მილიონი წყვილი	8	113
ტრიკოტაჟის საცვალი — მილიონი ცალი	10	105
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	3	104
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	6	109
ხორცი* — ათასი ტონა	18	165
ყველი* — ათასი ტონა	6	108
კონსერვი — მილიონი პირობითი ქილა	17	60
საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა	14	103
კარაქი* — ტონა	376	88
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — ათასი ტონა	38	110
მაკარონის ნაწარმი — ათასი ტონა	7	103
ჩაი ხატურალური ხარისხოვანი დაფასოებული — ათასი ტონა	8	101
ყურძნის ღვინო* — მილიონი დეკალიტრი	5	107
შამპანური — მილიონი ბოთლი	4	103
პაპიროსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი	7	64

1967 წლის პირველ ნახევარში მთლიანად და გადაკარბებით შესრულებულია მარგანეცის მადნისა და ქვანახშირის ამოღების, თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, კოქსის, ლითონსაჭრელი ჩარხების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სინთეზური ამიაკის, მინერალური სასუქის, კაპროლაქტამის, ქაღალდის, შიფერის, ბამბის, მალისა და აბრეშუმის ქსოვილების, წინდის ნაწარმის, ტრიკოტაჟის საცვლების, ტყავის ფეხსაცმლის, ხორცის, კარაქის, ცხიმიანი ყველის, მოუხდელი რძის პროდუქციის, ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული ჩაის, ყურძნის ღვინის, კონსერვების, სარეცხი მანქანების, ავეჯისა და სხვა პროდუქციის წარმოების გეგმა.

შრომის ნაყოფიერების გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ 1967 წლის პირველ ნახევარში შეასრულა 105 პროცენტით. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 4 პროცენტით.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიმდინარე წლის ხუთ თვეში დაზოგეს 3,8 მილიონი მანეთი.

რესპუბლიკის მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციისაგან მიიღო 115 მილიონ მანეთზე მეტი ანუ 16 პროცენტით მეტი მოგება, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო. საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და სამრეწველო საწარმოები განაგრძობდნენ მუშაობას შემდგომი ტექნიკური პროგრესის პრობლემათა გადასაჭრელად სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ახალი ტექნოლოგიური პროცესების, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სრულყოფისა და დანერგვისათვის. ათვისებულია სერიული წარმოება მრავალი სახეობის ახალი პროდუქციისა, რომელიც შეესაბამება თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს. სახალხო მეურნეობაში დანერგილია უფრო მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.

ამასთან ცალკეულ საწარმოებს არ შეუსრულებიათ ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის მათთვის მიცემული დავალებანი.

II.

სოფლის მეურნეობა

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ორგანიზებულად შეასრულეს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები. მეურნეობათა მიერ დასახული საგაზაფხულო თესვის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. მთლიანად და გადაკარბებით შესრულებულია მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, ბოსტნეულის თესვის გეგმა.

1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები ყველა კატეგორიის მეურნეობაში შეადგენს 780 ათას ჰექტარს. გადიდდა მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბოსტეულისა და ეთერზეთოვანი კულტურების, თამბაქოს, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების ნათესი ფართობი.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ მოსავლის აღებას. 1967 წლის 1 ივლისისათვის საერთო ნათესი ფართობიდან საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეული მომკილია 29 ათას ჰექტარ ფართობზე ანუ 11 პროცენტი. მიმდინარეობს თიბვა და საკვების დამზადება. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში ჩამორჩენაა თიბვის ორგანიზაციაში.

1967 წლის 15 ივნისისათვის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააშენეს 1.542 ჰექტარი ხეხილის ბაღები, 482 ჰექტარი ვენახი, 376 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, 169 ჰექტარი დაფნის ნარგავები, 10 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაციები.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში **სატრაქტორო სამუშაოები** შესრულებულია 2.263 ათას ჰექტარ ფართობზე, 3 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.

მეცხოველეობის პროდუქტების **სახელმწიფო შესყიდვა** გაღიდდა ყველა კატეგორიის **კოლმეურნეობებში:**

	წლის პირველი ნახევარი		
	1966 წ.	1967 წ.	1967 წ. პროცენტით 1966 წლთან შედარებით
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა) — ათასი ტონა	21,6	22,7	105
რძე — ათასი ტონა	80,9	83,7	104
კვერცხი — მილიონი ცალი	65,2	69,4	107
მატყლი — ათასი ტონა	2,4	2,5	105

პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 122 პროცენტით, რძისა — 113 პროცენტით, კვერცხისა — 116 პროცენტით მატყლისა — 114 პროცენტით.

თითქმის ყველა რაიონმა შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

ყველა კატეგორიის მეურნეობებმა ჩაბარეს და მიჰყიდეს სახელმწიფოს 108.8 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ მთლიანისის გეგმის 107 პროცენტი. ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოთი“ აღებულია მთელი მოკრეფილი ჩაის ფოთლის 2.3 პროცენტი.

გაიზარდა **მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება:** რძისა 2 პროცენტით, კვერცხისა — 8 პროცენტით, მატყლისა — 4 პროცენტით, ხოლო ხორცის წარმოება რამდენადმე შემცირდა 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

1967 წლის პირველ ნახევარში რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოების დონე ყველაზე მაღალი იყო უკანასკნელი წლების განმავლობაში.

გაიზარდა ფრინველის მეკვერცხეობა და მატყლის საშუალო ნაპარსი.

პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემდეგნაირად შეიცვალა — ათასი სული:

	1 ივლისისათვის		
	1966 წ.	1967 წ.	1967 წ. პროცენტი-ბით 1966 წლთან შედარებით
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	688,1	685,4	99,6
აქედან ძროხა და ფურკამეჩი	179,5	179,4	99,9
ღორი	227,0	212,0	93
ცხვარი და თხა	1810,8	1826,1	100,8

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის სულადობა რამდენადმე შემცირდა; ცხვრისა და თხის სულადობა გადიდდა 15,3 ათასით. გაიზარდა იმ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, კერძოდ, ძროხის, ავრეთვე ცხვრისა და თხის სულადობა, რომლებიც მოსახლეობის პირად საკუთრებაშია.

გრძელდებოდა **სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური** ბაზის შემდგომი განმტკიცება. გასულ ნახევარ წელიწადში გადიდდა კაპიტალური მშენებლობა სოფლის მეურნეობაში: სახელმწიფოს კაპიტალდაბანდებებმა. გარდა კოლმეურნეობათა დაბანდებებისა, შეადგინა 48,3 მილიონი მანეთი, ანუ 2 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ განვლილ ნახევარ წელიწადში მიიღო: 1652 ცალი ტრაქტორი, ანუ 2804 15-ძალიანზე გადაანგარიშებით, 461 სატვირთო ავტომობილი, 200 მარცვლეულის ასაღები კომბაინი: ტრაქტორების კიდული და მისაბმელი მანქანები: 804 გუთანი, 605 სათესელა, 159 კულტივატორი, 302 სათიბელა, 283 სათიბელა, 35 უნივერსალური სატვირთავი, 65 დასაწვიმებელი მანქანა, 63 მინერალური სასუქის მომბნევი მანქანა. მიწოდებულია ავრეთვე 257 ათასი ტონა მინერალური სასუქი, რაც 32 ათასი ტონით მეტია, ვიდრე 1966 წლის პირველ ნახევარში.

III.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთების გაგზავნის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 105 პროცენტით, მათ შორის: ქვანახშირისა — 134 პროცენტით, ნავთობისა — 118 პროცენტით, შაი ლითონებისა — 94 პროცენტით, ყოველგვარი მადნისა — 111 პროცენტით, მინერალური სასუქებისა — 102 პროცენტით.

საშუალო სადღეღამისო დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვისა — 103 პროცენტით, მაგრამ არ შესრულებულა სატვირთო მატარებლის საუბნო სიჩქარის, ერთი ტექნიკურ სადგურზე ვაგონების მოცდენის საშუალო დროისა და ტვირთიანი ვაგონის ბრუნვის საშუალო დროის გეგმა.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის **საავტომობილო ტრანსპორტმა** წლის პირველ ნახევარში გადაზიდა 35 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთები, ამასთან გაეცალა 473 მილიონზე მეტი ტონა-კილომეტრი. ტვირთზიდვისა და ტვირთბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით ტვირთზიდვა გადიდდა 3 პროცენტით, ტვირთბრუნვა — 7 პროცენტით.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტობუსებით წლის პირველ ნახევარში გადაყვანილია 215 მილიონზე მეტი მგზავრი და გავლილია 1.5 მილიარდზე მეტი მგზავრ-კილომეტრი. 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით მგზავრების გადაყვანა გაიზარდა 6 პროცენტით. მგზავრბრუნვა — 9 პროცენტით. მგზავრების გადაყვანის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით, მგზავრბრუნვისა — 101 პროცენტით.

მსუბუქი ტაქსომტორების ფასიანი გარბენის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით. 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით მათ მიერ შესრულებულ **სამუშაოთა მოცულობა** 15 პროცენტით გაიზარდა.

გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ გზების (ადგილობრივი გზების გარდა) შეკეთების ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 106 პროცენტით. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გზების შეკეთების სამუშაოთა მოცულობა 7 პროცენტით გადიდდა.

წლის პირველ ნახევარში გაიზარდა **კავშირგაბმულობის საწარმოთა** ქსელი. გაიხსნა კავშირგაბმულობის 18 ახალი განყოფილება. ქალაქის ავტომატური სატელეფონო სადგურთა სიმძლავრე წლის პირველ ნახევარში გადიდდა 1100 ნომრით. სოფლად საექსპლოატაციოდ გადაეცა 10 ავტომატური სატელეფონო სადგური; სოფლის ავტომატური სატელეფონო სადგურების სიმძლავრე 670 ნომრით გადიდდა.

IV.

კაპიტალური მშენებლობა

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე **ამოქმედდა** 133 მილიონი მანეთის **ძირითადი ფონდები** ანუ 30 პროცენტით მეტი, ვიდრე 1966 წლის პირველ ნახევარში.

ამოქმედდა: 450 ათასი ტონა კოქსადი ქვანახშირის მოპოვების, 10 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობათა წარმოების, 3,7 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების ახალი საწარმოო სიმძლავრენი. სხვადასხვა ძაბვის 557 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზები, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის 765 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზები, მეცხოველეობის სათავსები მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, ღორისა და ცხვრისათვის, გადიდდა სარწყავი და ამოშრობილი მიწების და დაწყლიერებული **სამოვრების ფართობები.**

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულმა **კაპიტალურმა დაბანდებებმა** რუსეთსაბჭოეთში შეადგინა 240 მილიონი მანეთი, აქედან: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებმა — 142 მილიონი მანეთი. 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გაიზარდა 8 პროცენტით, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 8 პროცენტით. ამასთანავე არ შესრულებულა კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა **საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო** ტრესტებმა - საკუთარი ძალებით საიჯარო სამუშაოთა გეგმა ამოასრულეს 101 პროცენტით, მათ შორის მშენებლობის სამინისტრომ — 102 პროცენტით, სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ — 22 პროცენტით, ელექტროფიკაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ — 100,8 პროცენტით, სტალეი, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ —98 პროცენტით, კავშირგაბმულობის სამინისტრომ — 70 პროცენტით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ — 78 პროცენტით, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის „ინემშენის“ ტრესტმა — 102 პროცენტით.

V.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება

სახალხო მეურნეობის **მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვმა** 1967 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 1270 ათასი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 3 პროცენტით.

მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი ხელფასი 3 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

გაიზარდა კოლმეურნეობათა ამონაგები სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციისაგან, რის შედეგადაც გადიდდა **კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება.**

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვის მოცულობამ** 1967 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 800,2 მილიონი მანეთი და 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით. შესაბამისპირებ თასებში გაიზარდა 67,8 მილიონი მანეთით, ანუ 9,3 პროცენტით. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა გაიზარდა 7,3 მილიონი მანეთით, ანუ 7,6 პროცენტით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა** შესრულებულია 100,7 პროცენტით, მათ შორის საცალო ქსელისა —100,6 პროცენტით, საზოგადოებრივი კვებისა — 100,7 პროცენტით.

ცალკეულ სახეობათა საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

	გაყიდულია 1967 წლის პირველ ნახევარში პროცენტობით 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით
ხორცი და ხორცის პროდუქტები	110
კარაქი	108
მცენარეული ზეთი	107
რძე და რძის პროდუქტები	113
ყველი	124
კვერცხი	106
შაქარი	111
საკონდიტრო ნაწარმი	109
კარტოფილი	107
ბოსტნეული	110
ნაყოფი, ხილი, კენკრა და ბაღჩეული	112
ბამბის ქსოვილები	106
მალის ქსოვილები და თავშლები	104
აბრეშუმის ქსოვილები	102
შეკერილი საქონელი	109
ტრიკოტაჟის ნაწარმი	122
წინდები	104
ტყავის ფეხსაცმელი	104
ავეჯი	105
საკერავი მანქანები	91
საათები	101
სპორტსაქონელი	110
რადიოსაქონელი	109

მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა საქონელბრუნვა, მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების მთელ რიგ საგნებზე ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება.

1967 წლის პირველ ნახევარში 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით მოსახლეობისაგან შესყიდული და კოლმეურნეობებისაგან საკომისიოდ მიღებული საქონლის გაყიდვა 12 პროცენტით გაიზარდა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ფართოდ ხორციელდებოდა **სანაბანო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.**

სახელმწიფო სახსრებით, ავრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა სახსრებითა და სახელმწიფო კრედიტის საშუალებით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში **ქალაქებსა და მუშათა დასახლებებში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 5 ათასზე მეტი ახალი ბინა, რომელთა საერთო ფართობია 280 ათასი კვადრატული მეტრი.**

საექსპლოატაციოდ გადაეცა ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები 3.656 მოსწავლისათვის, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი — 420 ადგილით, 400 საწოლიანი საავადმყოფოები და პოლიკლინიკები.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 1966 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 15 პროცენტით, მაგრამ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ნახევარი წლის გეგმა არ შესრულებული. საყოფაცხოვრებო საწარმოთა ქსელი ჯერ კიდევ საკმარისი არ არის, განსაკუთრებით სოფლად; მოსახლეობის მომსახურების ხარისხი და კულტურა ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე.

განვლილ ნახევარ წელიწადში გრძელდებოდა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოები.

წარმოებდა **საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციის სამუშაოები.** გაზიფიცირებული ბინების რიცხვი ნახევარ წელიწადში გაიზარდა 33 ათასით. გაზიფიცირებულია 303 ათასი ბინა, მათ შორის ქსელური გაზით — 114 ათასი ბინა.

კიდევ უფრო განვითარდა სახალხო განათლება, მეცნიერება და კულტურა.

ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვმა შეადგინა 928 ათასი, მათ შორის 55 ათასი კაცი მეშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სწავლობს.

1967 წელს რვაწლიანი სკოლა დამთავრა 78 ათასმა კაცმა, საშუალო კი —57 ათასმა კაცმა. მათ შორის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში საშუალო განათლება მიიღო 11 ათასმა კაცმა.

უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა სახალხო მეურნეობისათვის გამოუშვეს 17 ათასზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი.

გრძელდებოდა **მოსახლეობის სამედიცინო დახმარების** შემდგომი გაუმჯობესება. გადიდდა სამკურნალო-პროფილაქტიკური და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

საკდესის განცხადება

საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების შეშფოთებას იწვევს ის, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სულ უფრო გამაღლებით მიმდინარეობს მილიტარისტული და ანტიდემოკრატიული ხასიათის მუსაფები.

დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის განსახილველად შეტანილია ეგრეთწოდებული საგანგებო კანონების სერია, რომელთა შემუშავება დაიწყო ჯერ კიდევ ადენაუერის დროს და გააგრძელა ერჰარდის კაბინეტმა. საგანგებო კანონმდებლობა ლოგიკური გაგრძელებაა იმ ანტიდემოკრატიული ხაზისა, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა გერმანიის კომუნისტური პარტიისა და მთელი რიგი პროგრესული ორგანიზაციების აკრძალვითა და რაზმობით ამ კანონების არსი ის არაა, რომ ფედერალურ მთავრობას მიენიჭოს ისეთი უფლებამოსილება, რომელიც საშუალებას მისცემს მას ყოველ მომენტში თავისი ექსტრემისტული მიზნების განსახორციელებლად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შემოიღოს საგანგებო წესები და ხელი აიღოს მთელი აღმსარულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლება. ამასთან გააუქმოს მოსახლეობის ელემენტარული უფლებანი. წინასწარ იგეგმება, რომ პარლამენტი დაკარგავს თავის პრეროგატივებს და არსებითად შეწყვეტს ყოველგვარ საკანონმდებლო საქმიანობას, რაც სამხედრო და ფედერალურ სამოქალაქო ხელისუფალთ თვითნებობისა და უკანონობის საშუალებას მისცემს. საგანგებო კანონმდებლობა მონოპოლიებს ანიჭებს განუსაზღვრელ დიქტატორულ ხელისუფლებას ფედერაციულ რესპუბლიკაში და განსაკუთრებით მუშათა კლასისა და მისი მასობრივი ორგანიზაციების — პროფკავშირების მიმართ, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას ყოველგვარ შესაძლებლობას უსპობს გავლენა მოახდინოს მმართველი ზედაფენის პოლიტიკაზე და წინააღმდეგობა გაუწიოს მას.

ამ კანონების შესაბამისად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას უფლება ეძლევა მშვიდობიან დროსაც კი შემოიღოს საყოველთაო შრომითი ბეგარა და აკრძალოს გაფიცვები, შეზღუდოს პროფესიის თავისუფალი არჩევის ან სამუშაო ადგილის შეცვლის უფლება, განახორციელოს საიდუმლო კონტროლი მოქალაქეთა მიწერ-მოწერისადმი, აწარმოოს დაპატიმრებანი სასამართლო ორგანოების სანქციის მიუცემლად და სხვ. აწესებენ მკაცრ სასჯელს, თუ ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებს კონტაქტები ექნებათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებთან, რომლებიც პოლიტიკური ორგანიზაციების წევრები არიან. ზღუდავენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეთა აზრის თავისუფლებას და სხვა უფლებებს.

საგანგებო კანონმდებლობის მილიტარისტული ხასიათის არსს არც მალავენ. ჯერ კიდევ ეგრეთწოდებული „უშრალო“ საგანგებო კანონებით, რომლებიც 1965 წელს მიიღეს, გათვალისწინებულია მშვიდობიან პერიოდში ნასიერმილიონიანი ბუნდესვერის დამატებით შეიქმნას გასამხედროებული „სამოქალაქო დაცვის კორპუსი“. ამავე კანონებით მთავრობას ეძლევა უფლებამოსილება შემოიღოს იძულებითი რეგლამენტაციები ეკონომიკის, ტრანსპორტისა და სხვა დარგში.

საგანგებო კანონების შინაარსი, როგორც იმ კანონებისა, რომლებიც მიღებულია, ისე იმ კანონებისა, რომლებიც მომზადების სტადიაშია, მკაფიოდ მოწმობს, რომ საქმე ეხება იმ პირობების უზრუნველყოფას, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დამყარდეს სამხედრო-პოლიციური დიქტატურის რეჟიმი. ეს კანონები დასჭირდათ იმიტომ, ვისაც უნდა უუფლებობისა და ფაშისტურ ვითარებაში გატეხოს ბონის ავანტიურისტული რევანშისტული კურსის მოწინააღმდეგეთა ნება. ამ მხრივაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალნი აშკარად ბაძავენ მეთოდებსა და წესებს, რომლებსაც იყენებდა ჰიტლერი 1933-39 წლებში. როგორც მაშინ, მუშავდება მილიტარიზაციის ყოველისმომცველი პროგრამა, თანდათანობით ფართოვდება ეკონომიური, იურიდიული და ფსიქოლოგიური მომზადება ომისათვის. მმართველ წანაგში ნაციონალისტური ტენდენციების ზრდა, ყბადაღებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, აშკარად ფაშისტური ყაიდის სხვა გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შექმნა და განმტკიცება მოწმობს, რომ ქვეყანაში არის ძალები, რომლებიც ცდილობენ განახორციელონ უს პროგრამა „სამოქალაქო დაცვის კორპუსი“. ამავე კანონებით მთავრობას ეძლევა უფლებამოსილება შემოიღოს იძულებითი რეგლამენტაციები ეკონომიკის, ტრანსპორტისა და სხვა დარგში.

საგანგებო კანონმდებლობა ახალ ბარიერს ქმნის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, აგრეთვე სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის ნორმალიზაციის გზაზე.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად აგრეთვე ცხადი ხდება, რამდენად ყალბია დასავლეთ-გერმანელ პოლიტიკოსთა განცხადებები, თითქოს საგანგებო კანონების მიღება საკარანტინოდ იყოს მხოლოდ და მხოლოდ სურვილი გაუქმონ ის განსაკუთრებული უფლებამოსილებანი, რომლებიც აქვთ ახლა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალთ, და ამრიგად მოსპონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკური დამოკიდებულება დასავლეთის სახელმწიფოებზე. სინამდვილეში კი საგანგებო კანონები მხოლოდ იურიდიულ ბაზას უქმნიან დასავლეთ გერმანიის ინტენსიურ მილიტარიზაციას და სავსებით შეესაბამებიან პენტაგონის გეგმებს. სამხედრო შანვერებმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომლებიც გასული წლის დამლევს მოაწყო ნატოს სარდლობამ საგანგებო კანონმდებლობის პირობითი შემოღების ვითარებაში, თვალსაჩინოდ ცხადყო, რომ ამერიკელ გენერლებს ეს კანონმდებლობა შეაქვთ თავიანთ არსენალში როგორც საერთო სამხედრო დაგეგმვის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას სულ უფრო კარგად ესმის, რა მძიმე შედეგებს მოუტანს მათს სამშობლოს მომავალში საგანგებო კანონები, რომლებიც ფართო გზას უხსნიან საქმიანობისათვის რევ

ალვკვეთოთ ომის გაჩაღების საფრთხე

ა. ა. გრომიკოს წერილი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარესა

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისათვის გაგზავნილ წერილში ყურადღება მიიპყრო იმას, რომ ისრაელი განაგრძობს აგრესიულ სამხედრო პროვოკაციებს სუეცის არხის ზონაში.

ა. ა. გრომიკოს წერილში ნათქვამია:

„პატივცემულო ბატონო თავმჯდომარე, საჭიროდ მიმაჩნია უშიშროების საბჭოს ყურადღება მივაპყრო იმ ფაქტს, რომ ისრაელი განაგრძობს აგრესიულ სამხედრო პროვოკაციებს სუეცის არხის ზონაში.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლის 1967 წლის 13, 14 და 15 ივლისის წერილებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი მოყვანილია ახალი კონკრეტული მონაცემები იმის შესახებ, რომ ისრაელი უხეშად არღვევს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

უკანასკნელ დღეებში ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა რამდენჯერმე დაუშინეს ცეცხლი და დაბომბეს ქალაქები და დასახლებული პუნქტები სუეცის არხის ბანერვრივ. ამის შედეგად არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში და გამოწვეულია მატერიალური ზარალი.

სუეცის არხის რაიონის ამბები მოწმობენ, რომ ისრაელი კვლავ ცდილობს განახორციელოს აგრესიის პოლიტიკა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული სახელმწიფოების მიმართ.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ სამხედრო შეტაკებებს სუეცის არხის ზონაში, რომლებსაც პროვოკაციულად იწვევს ისრაელი, მეტად საშიში ხასიათი აქვს და შეიძლება უფრო ფართო სამხედრო კონფლიქტად გადაიქცეს.

ოკუპაცია არაბული ქვეყნების ტერიტორიათა, რომლებიც ისრაელმა აგრესიის შედეგად დაიპყრო, ნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი პრინციპებისა და საერთაშორისო სამართლის გათელვას, არაბულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.

მომავალში თავიდან რომ ავიცილოთ სამხედრო შეტაკებანი და აღვკვეთოთ ომის განახლების საფრთხე ახლო აღმოსავლეთში, საჭიროა ისრაელმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები არაბული ქვეყნების ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტას უნდა შეუწყოს ხელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

გთხოვთ განახორციელოთ შესაბამისი ღონისძიებანი და გაავრცელოთ ეს წერილი უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად".

მოლაპარაკება კაიროში

კაირო, 19 ივლისი. (საკდესი). აქ განახლდა რამდენიმე არაბული ქვეყნის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება, რომელზეც განხილავენ ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებას.

ერაყის პრეზიდენტი არიფი და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ბუმედიენი მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე მეხვდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ნასერს. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე სუდანის პრემიერ-მინისტრი მაჰჯუბი და ალჟირის, ერაყის, ეგვიპტისა და სუდანის დელეგაციათა წევრები. ეს დელეგაციები მონაწილეობდნენ ხუთი არაბული სახელმწიფოს მეთაურთა თათბირში, რომელიც 16 ივლისს დამთავრდა კაიროში.

როგორც კაიროს პრესა იუწყება, გუშინდელი შეხვედრის დროს ალჟირის, ერაყის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელები განიხილავდნენ რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის ბუმედიენის და პრეზიდენტ არიფის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს. დღეს დილით ისინი კვლავ ხვდებიან ერთმანეთს.

საერთაშორისო ხელვანა

ჟურნალისტთა სემინარი პანანაში

პანანა, 19 ივლისი. (საკდესი). კუბის დედაქალაქში გაიხსნა ჟურნალისტთა სემინარი, რომელიც ეძღვნება საინფორმაციო საგენტოთა მუშაობის საკითხებს.

სემინარი, რომელიც მოაწყვეს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ, კუბის ჟურნალისტთა კავშირმა და პრენსა ლატინას სააგენტომ, აგვისტოს დამლევამდე გასტანს. სემინარზე მოისმენენ ლექციებს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის სოციალისტური ქვეყნების საინფორმაციო სააგენტოთა მუშაობის შესახებ, აგრეთვე მიმოხილვითს ლექციებს, რომლებშიც გაშუქებული იქნება კუბის რევოლუციის სხვადასხვა ასპექტი. სემინარია მსმენელები აგრეთვე გაეცნობიან პრენსა ლატინას სააგენტოს, კუბის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაობას, იმოგზაურებენ კუბაში.

გუშინ სემინარზე ახალი ამბების სააგენტოს გამგეობის წევრმა კ. ა. ხაჩატუროვმა წაიკითხა მოხსენება საბჭოთა საინფორმაციო სააგენტოების საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს მუშაობის შესახებ.

ჩინეთის ამბები

როგორც პრესა და უცხოეთის საგენტოების კორესპონდენტები იუწყებიან, ჩინეთში გრძელდება პროვინციებისა და დიდი ქალაქების პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა აწიოკება. მათ ბრალს სდებენ, რომ გამოდიან ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის წინააღმდეგ და მხარს უჭერენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ლიუ შაო-ცის.

ამას წინათ სინინში (ცინხაის პროვინცია) გაიმართა მიტინგი „კულტურულ-ოლუციური ორგანიზაციის" (ასე უწოდებენ ახლა ჩინეთში პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს) ჩახშობის გამო. როგორც გაზეთი „ცინხაი ყიბაო" იუწყება, ასეთი მიტინგის მოწვევის მიზეზი გახდა ის, რომ და

წყლის დაზოგვისათვის ბრძოლის ორთვიური

ამ გზელ დროს თბილისში ბევრი რამ გაკეთდა წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის. მნიშვნელოვნად გადიდდა წყალსადენების სიმძლავრე, ამჟამად მოწოდებული წყლის რაოდენობა სავსებით საკმარისია ქალაქის მოსახლეობისა და მრეწველობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

მაგრამ ახალი საწარმოების მშენებლობასა და მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით სულ უფრო იზრდება მრეწველობაში სასმელი წყლის გამოყენების პროცენტი. სამინაო მშენებლობის ზრდამ, განსაკუთრებით ბოლო წლებში, თავი. ბრრივ აგრეთვე მოითხოვა წყლის მოხმარების მკვეთრი გადიდება.

გარდა ამისა წყალსარგებელი ქსელისა და წყალსადები არმატურის უწესივრობის გამო, სამეურნეო და სასმელი წყლის ხარჯვისადმი სამრეწველო და სატრანსპორტო ორგანიზაციათა ცალკეული ხელმძღვანელების უყაირათო და მფლანგველური დამოკიდებულების გამო, დიდძალი წყალი იხარჯება მიზანშეუწონლად და იკარგება სანიაღვრო ქსელში. ამის შედეგად ქალაქის მთელი რიგი რაიონები, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, განიცდიან წყლის ნაკლებობას, რაც აფერხებს საწარმოთა მუშაობასა და თბილისის მოსახლეობის წყლით ნორმალურ მომარაგებას.

წყლის მოხმარების რეზერვების გამოვლინების, წყლის დანაკარგის მიზეზების აღმოფხვრის, სასმელი და სამეურნეო წყლის დაზოგვისათვის ბრძოლის გაძლიერების მიზნით, თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით დღეიდან მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე თბილისში ეწყობა სამეურნეო და სასმელი წყლის რაციონალურად და ყაირათიანად ხარჯვისა უზრუნველყოფისათვის.

სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ როგორც შემოწმების პერიოდში, ისევე შემდეგშიც, სისტემატური დახმარება გაუწიონ საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომ განახორციელონ ღონისძიებანი ადგილებზე სამეურნეო და სასმელი წყლის რაციონალურად, ყაირათით ხარჯვისათვის.

სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ აგრეთვე გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელონ, რათა საწარმოებში, მშენებლობებზე, კომუნალურ და საუწყებო საცხოვრებელ სახლებში აღმოიფხვრას წყალსადები არმატურის, წყალსარგებელი ქსელისა და აგრეგატების ყველა ტექნიკური უწესივრობა და უყაირათოდ არ იხარჯებოდეს სამეურნეო და სასმელი წყალი. (საქდისი).

ნაირ-ნაირი

დიდხანს იბობოქრა მდინარე ილტომ. ძნელი იყო ახმეტიდან მატანში მისვლა. მთის წყალი სერიოზულ ბარიერს წარმოადგენდა ტრანსპორტისათვის. ამ ექვსოიდე წლის წინათ მოვიდნენ თელაველი ხიდის მშენებლები რ. თანდილაშვილის ხელმძღვანელობით, რომლებმაც ივნისის ბოლოს ახალი ხიდი საექსპლოატაციოდ გადასცეს. პანკისის ხეობის სოფლების მშრომელები მადლიერების გრძნობით აღივსნენ მშენებლების მიმართ.

შ. ბერიძიშვილი.

მთაგორიანი სოფლის ხრეითის (ციათურის რაიონი) მშრომელებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. აქ ციათურის რაიკოოპერატივმა საექსპლოატაციოდ გადასცა ახალი უნივერსალური მაღაზია № 12. მაღაზიაში არის მზა ტანსაცმლის, ქსოვილების, პარფიუმერია-გალანტერიის, ტრიკოტაჟის, წიგნების, სამეურნეო საქონლის, საოჯახო საქონლის, სასურსათო სექციები.

ა. ანასაშვილი.

ამას წინათ ახალი საჩუქარი მიიღეს გალელებმა. აქ საზოგადოებრივი კვების ქსელს კიდევ ერთი ობიექტი შეემატა. გალის საკვებრობის განყოფილებამ გახსნა. კეთილმოწყობილი სასადილო.

ს. პაპასყუა.

დიდი მოგება

წყალტუბო. (საკ. კორ.). სანატორიუმ „იმერეთის" უფროსმა ეკთანმა ზინაიდა ნიკოლოზის ასულმა კაკაბაძეს წყალტუბოს ცენტრალურ შენახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ 1967 წლის ფულისა და ნივთების მექვსე გამოშვების ლატარიის 53344 სერიის № 064 ბილეთი, რომელმაც მოიგო 526 მანეთად და 50 კაპიკად ღირებული პიანინო „საქართველო".

წიგნის თარო

ნარ-დოსი — **უკანასკნელი მოჰიკანები**, მოთხრობები. მთარგმნელები ივ., არტ. და არჩ. დავითიანები, ლ. მიქაძე. რედაქტორი ელ. გოგოლაშვილი, მხატვარი ი. მჭედლიშვილი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

ანრი ბერო — **მთვარის სამხატვარი**, რომანი. მთარგმნელი მ. მაღულაშვილი. რედაქტორი თ. ცინცაძე, მხატვარი ზ. რაზმაძე. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება".

სტეფანე კურტიკიანი — **სომხური ზარი**, ლეგენდები. მთარგმნელი არჩ. დავითიანი. რედაქტორი გ. ხორნაული, მხატვარი დ. ზარაფიშვილი, გამომცემლობა „ნაკადული".

იასონ გერასიმია — **კვლავ შეხვედით ერთმანეთს**, იუმორისტული მოთხრობები. რედაქტორი მ. გვასალია, მხატვარი გ. გერგაია, გამომცემლობა „ალაშარა" (სოხუმი).

მოგწონთ? ქართული ეროვნული ვალიოთეკა

ვის არ სურს ეცვას კოხტად, თანამედროვე მოდის შესაფერისად. ტანსაცმელი ხომ ადამიანს შნოსა და ლაზათს მატებს, უქმნის კარგ გუნებას.

დიახ, უყვარს ჩვენს ხალხს ყოველი სეზონის შესაფერისად ჭკონდეს ლამაზი, მოდური ტანსაცმელი, მაგრამ ჩვენი საფეიქრო მრეწველობა, ჩვენი სამკერვალო ფაბრიკები განა აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებას?

ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ. ამ წერილის მიზანს კი შეადგენს ჩვენი გაზეთის მკითხველებს გავაცნოთ როგორ ხვდება საიუბილეო თარიღს საქართველოს მოდელების სახლის მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რა ახალი საინტერესო მოდელები შექმნეს ჩვენმა ნიჭიერმა მოდელიერებმა საიუბილეო წელს.

ამას წინათ მოსკოვში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოეწყო ქართული მოდების დემონსტრირება. მოსკოველ საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენი რესპუბლიკის მოდელიერების ნამუშევრებს. ამაზე მეტყველებს საკავშირო პრესაში გამოქვეყნებული წერილები.

— ეს იყო წლევანდელი სეზონის მოდების დათვალიერება, — გვითხრა საუბარში მოდელების სახლის მთავარმა სამხატვრო ხელმძღვანელმა ლელი ხვედელიძემ, საიუბილეოდ კი ჩვენი ნამუშევრების დემონსტრირება მოხდება სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე აშენებულ სპეციალურ პავილიონში, სადაც მოეწყობა მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის საუკეთესო ნიმუშების საკავშირო დათვალიერება.

ჩვენი მოდელიერები ამ დათვალიერებისათვის საგანგებოდ მოეშზადნენ. პავილიონში ყოველ რესპუბლიკას ცალ-ცალკე სტენდი ეთმობა. ერთი ასეთი სტენდი გამოყოფილი აქვს საქართველოს. დათვალიერებისათვის ვაგზავნით ძირითადად ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ყველა სეზონისათვის შესაფერის ზედა ტანსაცმელს. ეს იქნება კაბები, კოსტიუმები, პალტოები, სპორტული და დასასვენებელი კომპლექტები.

ტანსაცმელი წარმოდგენილია კომპლექტების სახით, რაც გულისხმობს ჩაცმულობის საერთო მთლიანობას, ანსამბლურობას. ასე, მაგალითად, კაბის ან კოსტიუმისათვის შესაფერის დამატებით მორთულობას, ქუდს, ჩანთას, ხელთათმანს, ფეხსაცმელს. კომპლექტების შექმნისათვის გამოვყენეთ ჩვენი ეროვნული ხალხური ტანსაცმელი, — თუშური და სვანური ქუდები. ყაბალახის, ნაბდის, ხევსურული ფინდების ელემენტები, აგრეთვე მძივებითა და სხვადასხვა ფერის ძაფებით ქარგულობა, ძველებური ვერცხლის სამკაულები, ლითონში ჭედურობის მხატვრული ფირფიტები. ასეთმა შეხამებამ ჩვენს ტანსაცმელს მისცა უაღრესად თანამედროვე, ამავე დროს ეროვნული, ქართული კოლორიტი.

ჩვენს მუშაობაში მეორე დიდი მოვლენაა მზადება მოსკოვის I საერთაშორისო გამოფენისათვის. მოდების დათვალიერებაში მონაწილეობას იღებენ როგორც ჩვენი მომძე სოციალისტური ქვეყნების, ისე კაპიტალისტური სახელმწიფოების განთქმული ტანსაცმლის ფირმები. მარტო საფრანგეთიდან 20-მდე ფირმა ჩამოვა.

საერთაშორისო გამოფენა მოეწყობა ორ ტურად. ერთი იქნება სტენდური გამოფენა, სადაც მოხდება ტანსაცმლის კომპლექტების დათვალიერება და, მეორე, ცოცხალი მანეკენები მოახდენენ მოდების დემონსტრირებას. ჩვენი მოდელების სახლი ორივე ტურში იღებს მონაწილეობას. სტენდურში წარმოადგენს 11 კომპლექტს, ხოლო მეორე ტურში 35 მოდელს.

საერთაშორისო გამოფენა 23 აგვისტოს დაიწყება და გაგრძელდება 11 სექტემბრამდე. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს გამოფენაზე დათმობილი აქვთ ცალკე დერეფები. ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის გამოყოფილი იქნება 3-4 სექტემბერი.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ის ქსოვილები, რომლებიც მოგვაწოდა ტანსაცმლისათვის მაუდ-კამოლის კომბინატმა „საბჭოთა საქართველომ". ესენია ბაცი ვარდისფერი, ბაცი ცისფერი, იასამნისფერი და სხვა პასტელური ტონების ბუკლესებური ქსოვილები და „როგოჟა". შესანიშნავი გამოვიდა ამ ქსოვილებისაგან შეკერილი ქალის კაბები და კოსტიუმები.

აღსანიშნავია აგრეთვე თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის მიერ გამოშვებული ნატურალური და აცეტატური აბრეშუმი, საუკეთესო პასტელური ტონებით და მოდური ნახატებით დამშვენებული.

სრულიად ახალი თანამედროვე სილუეტის ფეხსაცმელი შეგვიკერეს ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკამ პოლოსიანის მიერ შექმნილის მოდელების მიხედვით. აღსანიშნავია აგრეთვე მსატვარ ს. ბახტაძის ხელმძღვანელობით შექმნილი ქამრები და სხვა მორთულობა.

საქართველოდან გამოფენაზე გაგზავნილი იქნება მ. ცურინოვას, ნ. ტოლსტუხინასა, გ. ნანუკაშვილის, თ. კალანდაძის, ვ. სუხიტაშვილის, თ. აბაზაძის, ე. რუხაძის, ზ. კარასიოვას, ვ. მინაკვასა და სხვათა მიერ შექმნილი მოდელები.

საქართველოს მოდელების სახლის კოლექტივის მიზანია არა მარტო უცხო მაყურებელი გავაცნოთ ახალი ქართული მოდელებით, არამედ მასობრივად იყიდებოდეს ასეთი ტანსაცმელი.

ლ. ხუბულური.

• • •



სურათებზე: ქართული მოდა.
ფოტო ო. თურქიასი

სპარტაკიადის დღეები

მედლები გამარჯვებულებს ელის

ის, რაც დღეს სპარტაკიადას წითელ ზოლად გასდევს, გასლავთ მაღალი შედეგები, რეკორდები. სპარტაკიადის გახსნამდე მცირე დრო დარჩა. მალე ბრძოლაში ჩაებმებიან მძლეოსნები, მცურავები, ძალოსნები. დღეს კი კვლავ უურადღების ცენტრში დგას შეჯიბრებანი კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, მრავალდღიან ველოსრბოლაში, სპარტაკიადის ტექნიკურ სახეობებში და მოსწავლეთა სპარტაკიადა.

ვისთან მოუწევთ ჩვენს კალათბურთელებს მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებისათვის ბრძოლა? ქალებს — უზბეკეთის, ლიტვის, აზერბაიჯანის და ბელორუსიის გუნდებთან, ამავე ჯგუფში შედის აგრეთვე უაზახეთის გუნდი, რომელთანაც ჩვენმა გუნდმა უკვე ითამაშა. ვაუთა გუნდს შეხვედრები ექნება ბელორუსიის, ლენინგრადის, აზერბაიჯანის, უაზახეთისა და უზბეკეთის გუნდებთან. დღეს საქართველოს ქალთა გუნდი ითამაშებს ლიტვის გუნდთან, ვაუთა გუნდი — ბელორუსიის კალათბურთელებთან.

ფრენბურთელები ჩაებნენ ფინალურ ასპარეზობაში. საქართველოს გუნდებმა, რომლებიც მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებისათვის იბრძვიან, მეორე ფინალური ჯგუფის ასპარეზობაში პირველ დღესვე განიცადეს დამარცხება ლატვიის გუნდებთან.

მრავალდღიანი ველოსრბოლა ფინიშს უახლოვდება. საქართველოს ველოსრბოლთა კოლექტივი მეთოთხმეტე ადგილზე იმყოფება.

გუშინ ჩვენმა ჩოგბურთელებმა აქტივში კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერეს უზბეკეთის გუნდთან მატჩში — 7:1.

ახლა ზოგადად სხვა სახეობებზე. მართალია, ჩვენმა კალათბურთელებმა და ფრენბურთელებმა იმედი ვერ გაგვიმართლეს, მაგრამ არის სახეობები, რომლებშიც წარმატებებს უნდა მოველოდეთ. ასეთ სახეობათა რიცხვს პირველი რიგში უნდა მივაკუთვნოთ ჭიდაობა. ნინა სპარტაკიადაზე ამ სახეობაში ჩვენ ჩემპიონებიც გვყავდა, მაგრამ გუნდური პირველი ადგილი არ გვქონია. ამ ხარვეზის გამოსწორება განზრახული აქვთ ჭიდაობელებს. როგორც სპეციალისტები და სპორტული მიმომხილველები თვლიან, ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს კლასიკურ მოჭიდავეთა კოლექტივი.

სპორტის მოყვარულები შეუნელებელი ინტერესით მოელიან ველოსრბოლთა ასპარეზობას ტრეკზე, განსაკუთრებით მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ო. ფხაკაძის გამოსვლას სპრინტერთა ასპარეზობაში, ომარი ჩინებულ სპორტულ ფორმაშია. მისი ბრძოლა ტრეკზე დიდხანია არ უნახავთ მოსკოველებს. საინტერესოა ვიცოდეთ დედაქალაქის ნაკრები გუნდის მწვრთნელის ხ. მინაკოვის აზრი. აი რა განაცხადა მან ჩვენთან საუბარში: „წინა სპარტაკიადაზე მოპოვებული მესამე ადგილით კმაყოფილი როდი ვართ. ვფიქრობთ ახლა მაინც ვიგდოთ ხელთ პირველობა. ჩვენი მთავარი მეტოქეები იქნებიან რსფსრ, უკრაინის, ლატვიისა და ლენინგრადის გუნდები.

როგორც ვხედავთ, წელს საქართველოს გუნდი არ მიაჩნიათ საპრიზო ადგილების პრეტენდენტად, მაგრამ ს. მინაკოვმა ო. ფხაკაძე უყოყმანოდ აღიარა № 1 სპორტსმენად.

ერთი სიტყვით, სპარტაკიადაზე პროგნოზები ბევრია, მაგრამ მთავარია ნამდვილი ბრძოლა და მისი შედეგები. ასპარეზობაც მოგვიახლოვდა და ჩვენც დავუცადოთ მას.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ორი ნაგება მოსკოვში

გუშინ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის პირველობის მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშის დაწყებიდანვე მოსკოველებმა თბილისელებს მაღალი ტემპი შესთავაზეს. ისინი ვერ ახერხებენ სტუმრების დაცვის გარღვევას. ტაიმის მესამე წუთზე თბილისელების კონტრშეტევა კინაღამ გოლით დამთავრდა.

სტუმრებმა თამაში თანდათანობით გაათანაბრეს და მოსკოველების კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ უშედეგოდ. ვერც ასათიანმა და ვერც მეტრეველმა ვერ გამოიყენეს კარის ღია შესაძლებლობა. თამაშის 22-ე წუთზე სპარტაკელ იანკინის მიერ გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა. ეს იყო თბილისელთა პირველი დამარცხება გასვლითს თამაშში მიმდინარე სეზონში.

ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდი ქუთაისის „ტორპედო" გუშინ მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე შეხვდა გთამაშ ე ბ ის ლიდერს დედაქალაქის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდს.

უნდა ითქვას, რომ ქუთაისელებმა მატჩი, სამწუხაროდ, მეტად სუსტად ჩაატარეს და შეხვედრა წააგეს დიდი ანგარიშით. „ტორპედომ" მოსკოველთა ექვს გოლს მხოლოდ ერთით უპასუხა.

ფრე მინსკში

გუშინ მინსკში გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო" და ბაკოს „ნეფტიანიკი". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

„ა" კლასის მეორე ჯგუფი

„ა" **კლასის** მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებმა გამართეს მორიგი ტურის მატჩები. ვოლგოგრადში ადგილობრივი „ტრაქტორის" წინააღმდეგ თამაშობდა ტყიბულის „მეშახტე". მაღარაელებმა მატჩი ძლიერად ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ივანოვოს „ტექსტილშჩიკმა" მოუგო თბილისის „ლოკომოტივს" — 1:0. როსტოვის „როსტსელმაშისა" და ბათუმის „დინამოს" შეხვედრის ანგარიშია 2:2.

ძულები...

მდგომარეობა 19 ივლისისათვის

1. რსფსრ — 265 ქულა
2. მოსკოვი — 263
3. უკრაინა — 258
4. ლენინგრადი — 198,5
5. საქართველო — 190
6. ბელორუსია — 182
7. უაზახეთი — 173
8. ლიტვა — 171
9. ლატვია — 168
10. უზბეკეთი — 160
11. აზერბაიჯანი — 159
12. ესტონეთი — 143
13. სომხეთი — 138,5
14. ყირგიზეთი — 92
15. მოლდავეთი — 75
16. ტაჯიკეთი —72
17. თურქმენეთი — 55

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 20 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მ.)	16	9	6	1	31:8	24
„დინამო" (კ.)	15	7	7	1	16:5	21
„ნეფტიანიკი" (ბ.)	16	8	5	3	29:12	21
„დინამო" (თბ.)	17	7	7	3	19:12	21
„სპარტაკი" (მ.)	16	7	5	4	18:13	19
„შახტიორი" (დ.)	15	6	7	2	19:18	19
„დინამო" (მნ.)	16	6	6	4	20:14	18
„ტორპედო" (მ.)	15	7	4	4	19:13	18
სკა (როსტ.)	15	6	3	6	15:20	15
„ზარია" (ლ.)	15	4	6	5	12:12	14
„კრ. სოვ." (კუიბ.)	15	2	10	3	7:7	14
ცსკა	15	6	2	7	14:17	14
„ტორპედო" (ქ.)	17	3	7	7	13:23	13
„არარატი" (ერ.)	15	3	6	6	10:16	12
„პახტაკორი" (ტ.)	15	2	7	6	11-17	11
„ლოკომოტივი" (მ.)	15	3	5	7	7:16	11
„ჩერნომორი". (ო.)	15	2	6	7	9:18	10
„ზენიტი" (ლ.)	15	4	2	9	8:22	10
„აირატი" (ალმ.)	16	1	7	8	9:23	9

ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

„ᲩᲔᲛᲘ ᲨᲔᲣᲚᲘᲚᲘ ᲫᲛᲐ"
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ
ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲒᲐᲒᲘᲗᲘᲗᲐᲪ რომ გადავალოთ თვალი საოპერეტო ჟანრის ისტორიას, ტრაგიკომედიის დადგმა საოპერეტო სცენაზე შეუსაბამოდ არ მოგვეჩვენება. ასეთია კომპოზიტორ **გ. ცაბაძის** „ჩემი შეშლილი ძმა".

პიესისა და სპექტაკლის ავტორებს მოუსურვებიათ გაეფართოებინათ ჟანრის საზღვრები, რათა გამოეყვანათ იგი საოპერეტო წარმოდგენების ჩვეულებრივ დაკანონებული ჩარჩოებიდან.

სპექტაკლი საინტერესოა უწინარეს ყოვლისა თავისი ჟანრობრივი მიმართულებით.

სახელწოდება „ტრაგიკომედია", გამოტანილი კლავირის პირველ ფურცელზე, თავისებურად არის გააზრებული ავტორების მიერ. ეს იმდენად სხვადასხვაგვარი ჟანრების შერწყმა კი არ არის, რამდენადაც სურვილი ეროვნული ოპერეტის ახალი ნაირსახეობის, სატირული ოპერეტის, ოპერეტა-პამფლეტის შექმნისა.

ე. შატნოვსკის პიესა კარგი სიუჟეტური ფაბულის გამოკვეთილობით, დრამატული კოლიზიების სიმწვავით და ცოცხალ პერსონაჟთა მთელი გალერეით.

საუკეთესონი ამ პერსონაჟთაგან ძლიერი ადამიანური ემოციების, ჰუმანური იდეების მატარებელნი არიან, ამიტომაც დამაჯერებელნი თავიანთი ბუნებრივობით და უშუალობით.

პიესა გამსჭვალულია მგზნებარე პათოსით, მხილების პათოსით, სიცოცხლის სიყვარულის, ბედნიერების რწმენის პათოსით.

ამიტომ ასე ღრმაა მისი ფინალის აზრი, აზრი სიცოცხლ ი ს რწმენისა, სიხარულისა, თუმცა ნაწარმოების დასასრული ჩვეულებრ ივ ი არ არის ოპერეტისათვის.

აი ის — ტრაგიკომედია, აი— ჟანრობრივი მიმართულება ახალი ოპერეტისა.

პიესის სოციალური პრობლემა კომპოზიტორმა აღიქვა არა პლაკატურ ად, არამედ ცოცხალ, ადამიანურ ხასიათებში, გრძნობათა მაღალ ემოციურ სიმძაფრეში.

„ჩემი შეშლილი ძმა" — ეს გახლავთ ოპერეტა, რომელშიც ყოველივე ემორჩილება მუსიკალურ-დრამატული მოქმედების შინაგანი განვითარების ლოგიკურობას, სადაც მოცემულია ძლიერი მუსიკალური ხასიათები, სადაც მუსიკა მის საუკეთესო ეპიზოდებში აღწევს სიმფონიურ განზოგადებას.

როგორია თვით მუსიკა? როგორია მისი მხატვრული დონე?! თემატიკური მასალის სიკვეთრე, ტემპერამენტი, ემოციური სიმდიდრე ახალი ოპერეტისა მოსწონს მსმენელს, ატკბობს და ალელვებს მას, გასაგებია ყველასათვის, სადა და უბრალოა და არა მარტივი.

კომპოზიტორი კარგად იცნობს საოპერეტო ჟანრს, გრძნობს მის სპეციფიკას.

ოპერეტის საუკეთესო, სიმფონიურად გაშლილი, განვითარებული ანსამბლები ლოგიკურად ჭარავენ თვითეულ მოქმედებას და მთელ ნაწარმოებს სიერთოდ.

საანსამბლო სცენებში გ. ცაბაძემ გამოავლინა დრამატურგიულად რთული და ელასტიკური საოპერეტო ფორმის კარგი ცოდნა.

თეატრალურ-სცენური ნაწარმოება იბადება ორჯერ; მეორედ უშუალოდ თვით სცენაზე, და აქ ხშირად წყდება მისი მომავლის ბედი. ახალი ოპერეტის დადგმის მიზეზდვით ერთხელ კიდევ გრწმუნდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მუსიკალურ თეატრში მუსიკალური რეჟისურის პრობლემა. ეს პრობლემა საინტერესოდ არის დაყენებული მუსიკალური კომედიის თეატრის ერთ-ერთ ბოლო დადგმაში — ლოუს ოპერეტაში „ჩემი მშვენიერი ლედი" (დამდგმელი — რეჟისორი შ. მესხი).

ახალი ოპერეტის „ჩემი შეშლილი ძმის" საინტერესო, ორიგინალური სცენური ინტერპრეტაციის ავტორები არიან რეჟისორები მ. ოშეროვსკი, უ. დარჩია, რეჟისორის თანაშემწე გ. გოგოლაძე, მხატვარი ო. ლითანიშვილი. შემოქმედებითი ძიებებით გატაცებულთა ჯგუფმა გამოავლინა თეატრის აქტიორული კოლექტივის პოტენციალი.

რეჟისორმა მ. ოშეროვსკიმ შექმნა ცოცხალი, ქმედითი ხასიათები და სრულად განდეგილა სპექტაკლიდან მასის ტრადიციული სტატიკურობა. სწორედ ამით, რეჟისორის მიერ მასის ახლებური გააზრებით, მინდა დავიწყო ლაპარაკი ახალ დადგმაზე.

რეჟისორი მგზნებარედ, ემოციური მოელვარებით მოგვითხრობს თავისი გმირების ბედიდებალზე.

• თვითეული მსახიობი, რომელიც სულ პატარა როლს ასრულებს, ქმნის სახეს აღბეჭდილს თავისი ინდივიდუალური თვისებებით. ამიტომ ასე ცოცხლად, ქმედითად, სრულიად ახლებურად მოგვეელინა მასა სპექტაკლის ერთ-ერთ საუკეთესო სცენაში — „სცენა სარდაფში".

რეჟისორი ყოველნაირად შეეცადა წაეშალა ზღვარი თავიერ და მეორეხარისხოვან პერსონაჟთა შორის. მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ამგვარი გზით მიაღწევდა სრულ აქტიორულ ანსამბლურობას სცენაზე, და მან მიაღწია მიზანს.

სწორედ ამიტომ იწვევენ მაყურებლის ასეთ აქტიურ რეაქციას მსახიობები ა. დაშნიანი, ც. ალიევა, ნ. მინდიაშვილი, ლ. დოთუკაშვილი, ო. ბაზოძე, ნ. პეტრიაშვილი, ა. მხეიძე, ბ. სუხიშვილი, ო. ცერცვაძე, თ. კოდანოვა. ნ. ლაღიძე, ნ. ხიზანიშვილი.

შეუძლებელი იყო რეჟისორის შინაგან შემოქმედებით წვის არ გაეტაცა აქტიორული კოლექტივი, ზოგი მსახიობი კი ითქვა კიდეც ახლებურად გაეაზრებინა თავისი მოქმედება სცენაზე. უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მყავს ჩვენი საოპერეტო სცენის ერთ-ერთი პოპულარული მსახიობი ვ. სალარიძე, რომელმაც აქ შ ე ა ს რ უ ლ ა რთული და წინააღმდეგობებით სავსე ორი როლი. ესენი არიან ტყუპი ძმები — პირველი შეშლილი ფინანსისტი ჰაროლდი, ხოლო მეორე კეთილი, თავაზიანი ღარიბი ჯორჯი. სწრაფი აქტიორული კონტრასტები, სწრაფი სცენური გარდაქმნა და ვოკალური ინტონირების სულ სხვადასხვა მანერა, ორი კონტრასტული მუსიკალური სახე. ვ. სალარიძისათვის ეს გახლდათ ორმაგად რთული, რადგანაც უკანასკნელი წლების მანძილზე ის თითქმის ჩამოსცილდა სცენას. ვ. სალარიძის დაბრუნება საოპერეტო სცენაზე და ამგვარი გამოსვლა სიხარულია მთელი შემოქმედებითი კოლექტივისათვის, სიხარულია მაყურებლისათვის.

ამავე სახეების შექმნისათვის მთელი გატაცებით უმუშავნია აგრეთვე ნიჭიერ მსახიობს ნ. პიპინაშვილს. მისი ჯორჯი არის თბილი, კეთილშობილი, ადამიანური სცენური სახე. კარგია, რომ ორი კონტრასტული როლის შესრულებისას ის განსაკუთრებით გამოკვეთს ჯორჯის სახეს.

ძნელია გავიხსენოთ ჩვენს საოპერეტო სცენაზე ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ისეთი მშვენიერი გროტესკით ღისავსე, გაშარქებული ეპიზოდი, როგორც არის სცენა საგიჟეთში. მისი საუცხოო შემსრულებლები ი. ვასაძე, ო. ბახტაძე, დ. მაჭავარიანი, ჯ. თალაკვაძე, ო. ხელაშვილი აქტიორული ოსტატობის მაღალმხატვრულ დონეს აღწევენ.

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ორი მსახიობი — თეატრის ვიტერანები მ. ბერიაშვილი და ი. ქუთათელაძე.

ოპერეტაში „ჩემი შეშლილი ძმა" ქალთა პერსონაჟების მთელი გალერეაა, ესოდენ სხვადასხვაგვარი ცალკეულ გმირთა ხასიათებთან, ტემპერამენტთან, მაგრამ ერთნაირად ძლიერი ემოციური გრძნობებით.

სპექტაკლი უპირველეს ყოვლისა ძლიერად შეყვარებული ქალის ემას ტრაგედიაა. ეს როლი მოითხოვს შემსრულებლისა გ ა ნ ჭეშმარიტ შემოქმედების დაძაბვას, ვოკალურ და აქტიორულ ნიჭს. ძნელია უპირატესობა მივანიჭოთ ამ როლის ერთ რომელიმე შემსრულებელს. ორივე — თ. მერკვილაძე და ლ. ჩიბალაშვილი აღიარებენ და ეტაცებიან მსმენელს. აქ კიდევ ქალთა სხვა პერსონაჟებიც არიან და მათ შორის ტანჯული ნორმა (მსახიობები ქ. კობახიძე და ე. გურაშვილი). ლოტას ახალგაზრდა შემსრულებელი ე. ნიკოლაძე არ შეიძლება არ გამოვყოთ თავისი მოახმიბვლელობით, სასიამოვნო სცენური გარეგნობით, უშუალობით.

ამ ყოველისმომცველი სიყვარულის მატარებელია ლოტასთან ერთად მისი შეყვარებული ფრანჩესკოა, რომელსაც გატაცებით განასახიერებენ სცენაზე რ. გოგორიშვილი და ბ. ნიბიერიძე.

თეატრის მცირერიცხოვანი ორკესტრიც კი, რომელიც დიდი ხანია გადიდებას მოითხოვს, (დირიჟორი თ. კობახიძე) — და კიდევ უფრო პატარა გუნდი (ქორმეისტერი ო. მელია) კომპაქტურად, მრავალფეროვნად ყოერს.

სპექტაკლის ორგანულ, განუყოელ ნაწილად იქცა ცეკვები, რომლებიც აქ მნიშვნელოვან დრამატურგიულ ფუნქციას ასრულებს (დამდგმელი დ. მაჭავარიანი).

სცენა სამიკიტნოში, სცენა საგიჟეთში მიგნებაა არა მარტო კომპოზიტორისა და რეჟისორისა, არამედ ბალეტმეისტერისაც.

სპექტაკლი „ჩემი შეშლილი ძმა" წარმოადგენს ორიგინალურ ძიებას იმ უდავოდ ახალ, საინტერესო გზაზე, რომელსაც ამჟამად მიაყვება მუსიკალური კომედიის ქართული თეატრი.

მირა ფიჩხაძე,

• • •

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ჩემი შეშლილი ძმა".

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

20 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის—მხატვრული ფილმი „მობრძანდითგეთაყვეთ, ანუ უცხო პირთთვის შემოსვლა აკრძალულია", 19.20— განცხადებები, 19.25 — „დიადი თარიღის შესახვედრად" — „თელაველ მეზვრეებთან", 19.50 — კონნარკვევი, 20.00 — გადაცემა „სპორტული ოჯახი", 20.15 — კონნარკვევი, 20.35 — მუსიკალური რეკვიუ „სატელევიზიო ტაქსი", 21.05 — „ახალი ამბები" (ქართულ და რუსულ ენებზე). 21.25 — მხატვრული ფილმი „ჯარისკაცი ვარ, დედა", 22.55 — გადაცემათა პროგრამა 21 ივლისისათვის, 23.00 — მოსკოვის შეხუთე საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვა (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

09.30 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში,